საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალზელანდიური სელი

ახალზელანდიური სელი (Phormium tenax), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე შროშანისნაირთა რიგის ფორმიუმისებრთა ოჯახისა.

ველურად იზრდება ახალი ზელანდიისა და ნორფოლკის კ-ებზე. ფოთოლი შეიცავს მაგარ ბოჭკოს, რ-ისგანაც ამზადებენ ბრეზენტს, საზღვაო ბაგირებს, ხეზებს, იყენებენ ქაღალდისა და ცელულოზის წარმოებაში. XIX ს. ბოლოს საქართველოში შემოიტანეს და როგორც ტექ. და დეკორ. მცენარე მოაშენეს შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმიდან ტუაფსემდე.